ღანი

„ღანი“ – ღია კონკურსი ახალგაზრდა ხელოვანებისთვის

კონკურსის კონცეფცია

„ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა; სიყვარული ნიშნავს ყოფნას ერთ სულად, ხოლო სიყვარული უფლისა, ამასთან ერთად, გზა არს განღმრთობისა.“

(წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი)

„ღანი - სიყვარული როგორც განღმრთობის გზა“ არის კულტურულ-საგანმანათლებლო კონკურსი ახალგაზრდა ხელოვანებისა და სტუდენტებისთვის, რომლის მიზანია ხელოვნების ენით საღმრთო სიყვარულის ქრისტიანული გაგების ხელახალი აღმოჩენა და გააქტიურება თანამედროვე შემოქმედებაში.

პროექტი სვამს მთავარ კითხვას: როგორ შეუძლია სიყვარულს შეცვალოს ადამიანი და დღევანდელი სამყარო?

კონკურსი მონაწილეებს სთავაზობს გაიაზრონ საღმრთო სიყვარული, როგორც ძალა, რომელმაც ისტორიულად განსაზღვრა ქართული კულტურა და დღესაც შეიძლება იქცეს ახალი შემოქმედების საფუძვლად – როგორც პიროვნული გარდაქმნისა და სრულყოფის გზა, გამოხატული მხატვრულ აზროვნებაში.

ჩვენი ამოცანაა ახალი ქართული ესთეტიკის ძიება – ისეთი ვიზუალური ენის ჩამოყალიბება, რომელიც აერთიანებს წარსულის სულიერ გამოცდილებასა და თანამედროვე რეალობას. ვეძებთ ახალ ხედვას და გადაწყვეტებს, რომლებიც ორგანულად პასუხობს დღევანდელ სულიერ და კულტურულ გამოწვევებს.

კონკურსის გრძელვადიანი ხედვა უკავშირდება ეროვნული მნიშვნელობის „სიყვარულის მონუმენტის“ შექმნას, რომელიც ერთსულოვნებისა და ქართული იდენტობის სიმბოლოდ იქცევა. ამ ჩანაფიქრის რეალიზაციის გზაზე, მონაწილეთა მიერ მოძიებული ახალი მხატვრული ფორმები და კონცეფციები შთაგონების მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

საკონკურსო პირობები

1. ზოგადი დებულებები

1.1. თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია აცხადებს ღია კონკურსს სახელწოდებით „ღანი - სიყვარული როგორც განღმრთობის გზა“, რომელიც ხორციელდება კულტურის ფონდი „ღანის“ მხარდაჭერით.

1.2. კონკურსი ეძღვნება საქართველოს ნათლისღების 1700 წლის იუბილეს.

1.3. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს კონკურსის მიზნებს, მონაწილეობის წესს, შეფასების კრიტერიუმებსა და ნამუშევრების წარდგენის ვადებს.

1.4. საკონკურსო დოკუმენტაცია და განახლებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.tasa.ge და Facebook-გვერდზე.

1.5. კონკურსი არის ღია. მასში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე სტუდენტებსა და ახალგაზრდა ხელოვანებს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ავტორთა ჯგუფის სახით.

2. კონკურსის მიზანი

2.1. კონკურსის მთავარი მიზანია საღმრთო სიყვარულის – როგორც სულიერი სრულყოფისა და შინაგანი გარდაქმნის საფუძვლის – მხატვრული ინტერპრეტაცია არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ენით.

2.2. მონაწილეებმა ნამუშევრებში უნდა წარმოაჩინონ სიყვარული, როგორც მსხვერპლის, მსახურების, თავგანწირვისა და თავისუფალი არჩევანის ვიზუალური სახე თანამედროვე კულტურულ კონტექსტში.

2.3. კონკურსის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები წარმოადგენს შემოქმედებით კვლევას, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მომავალში დაგეგმილი ეროვნული მნიშვნელობის სიყვარულის მონუმენტის კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის.

3. კონკურსის ამოცანები

3.1. საღმრთო სიყვარულის გააზრება საქართველოს ნათლისღების 1700 წლის იუბილეს კონტექსტში.

3.2. ისეთი ნამუშევრების შექმნა, რომლებიც ეფუძნება სიმბოლურ აზროვნებასა და ახალი ვიზუალური ფორმების ძიებას.

3.3. ხელოვნებაში ფუნდამენტური ღირებულებების – ერთსულოვნების, მსახურების, თავგანწირვისა და სულიერი აღმასვლის – წარმოჩენა.

3.4. ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე მხატვრული ხედვის სინთეზი.

3.5. ახალგაზრდა ხელოვანების შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა და მათი ნამუშევრების საჯარო პრეზენტაცია.

4. პროფესიული მიმართულებები და რეგისტრაცია

კონკურსი ტარდება სამ პროფესიულ მიმართულებაში:

I. არქიტექტურა
II. ქანდაკება
III. ფერწერა / გრაფიკა

4.1. თითოეულ ავტორს (ან ჯგუფს) უფლება აქვს წარადგინოს მხოლოდ ერთი ნამუშევარი ერთ კონკრეტულ მიმართულებაში.

4.2. ნამუშევრის შესრულებისას დასაშვებია როგორც ტრადიციული მასალების, ისე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება.

4.3. ვადები:

წინასწარი რეგისტრაცია: 15 აპრილი – 31 მაისი.
საკონკურსო მასალების მიღება: 1 ივნისი – 15 აგვისტო.

5. კონკურსის ეტაპები

5.1. კონკურსი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ონლაინ რეგისტრაცია;
2. საკონკურსო პროექტების წარდგენა;
3. ჟიურის მიერ ნამუშევრების პირველადი შეფასება (I ეტაპი);
4. მუშაობა მენტორებთან (შერჩეული ავტორებისთვის);
5. ფინალური შეფასება, გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოება.

5.2. კონკურსის პარალელურად გაიმართება საგანმანათლებლო პროგრამა: თემატური ლექციები და შეხვედრები, რომლებიც მონაწილეებს თეორიული ბაზის მომზადებაში დაეხმარება.

6. წინასწარი რეგისტრაცია

6.1. რეგისტრაციის ვადა: 2026 წლის 15 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით.

6.2. რეგისტრაციის მიზანი: დაინტერესებულ პირებთან ოპერატიული კომუნიკაციის უზრუნველყოფა და მათთვის კონკურსის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

6.3. რეგისტრაციის ფორმა: რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით, რომელიც განთავსდება ასოციაციის ვებგვერდზე (www.tasa.ge) და ოფიციალურ Facebook-გვერდზე.

6.4. სტატუსი: წინასწარი რეგისტრაციის გავლა არ ნიშნავს კონკურსში ავტომატურ მონაწილეობას. კონკურსანტად დასარეგისტრირებლად აუცილებელია დადგენილ ვადებში სრულყოფილი საკონკურსო განაცხადის წარდგენა (იხ. მე-14 მუხლი: კონკურსის კალენდარი).

7. პროფესიული მიმართულებები და მონაწილეობის პირობები

7.1. არქიტექტურა

მონაწილეობის უფლება: სტუდენტები და ახალგაზრდა არქიტექტორები (40 წლამდე) – ინდივიდუალურად ან შემოქმედებითი ჯგუფის სახით.

არქიტექტურული ხედვა და ამოცანები:

თანამედროვე არქიტექტურულ პრაქტიკაში, სადაც შემოქმედებითი თავისუფლება ხშირად შეზღუდულია ეკონომიკური, ფუნქციური თუ ფორმალური მოთხოვნებით, პროექტი „ღანი“ ქმნის სივრცეს თავისუფალი პროფესიული აზროვნებისთვის.
კონკურსის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, არქიტექტორს დაუბრუნდეს მისი არსებითი როლი – როგორც შემოქმედის, რომელსაც გარემოს ფორმირების გზით შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანის სულიერ გამოცდილებაზე. წარმოდგენილი ნამუშევრები უნდა ასახავდეს სივრცისა და გარემოს ისეთ გააზრებას, რომელიც ემოციური შთაბეჭდილების შექმნის საშუალებით ხელს შეუწყობს ადამიანის შინაგან განვითარებას, სულიერ ზრდას, გონებრივ კონცენტრაციასა და სხვა სათნოებებს.

ზოგადი პირობები:

- თითოეულ მონაწილეს/ჯგუფს შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარდგენა.
- პროექტი უნდა წარმოადგენდეს თემის – „საღმრთო სიყვარული – როგორც სულიერი სრულყოფა“ – არქიტექტურულ ინტერპრეტაციას საქართველოს ნათლისღების 1700 წლის იუბილეს კონტექსტში.

საკონკურსო ნამუშევარი შეიძლება წარმოადგენდეს:

- არქიტექტურულ ობიექტს;
- საზოგადოებრივ ან ლანდშაფტურ სივრცით კონცეფციას;
- მონუმენტურ ან სიმბოლურ არქიტექტურულ ფორმას;
- ქალაქგეგმარებით (ურბანულ) გადაწყვეტას;
- ინტერიერის დიზაინს.

პროექტირების პრინციპები:

შემოქმედებითი თავისუფლება: მონაწილეებს ეძლევათ სრული თავისუფლება საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის, ფუნქციისა და დანიშნულების განსაზღვრაში.

იდეური პრიორიტეტი: ნამუშევარი უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო არქიტექტურულ იდეასა და სულიერ შინაარსს; პრიორიტეტი ენიჭება არქიტექტურული ენით გადმოცემულ შინაარსობრივ სიღრმეს.

ესკიზის ფორმატი: პროექტის ესკიზის შესრულების სტილი თავისუფალია.

კულტურული კონტექსტი: პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ქართული არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის გააზრებასა და მის თანამედროვე ინტერპრეტაციას, ეროვნული იდენტობის ფორმირების კონტექსტში.

კონცეპტუალური ხაზი:

პროექტში არქიტექტურულ-მხატვრული საშუალებებით გააზრებული უნდა იყოს საღმრთო სიყვარულის შემდეგი ასპექტები:

- სიყვარული როგორც ადამიანის შინაგანი სრულყოფა;
- სიყვარული როგორც ერთსულოვნების ფორმა;
- სიყვარული როგორც მსხვერპლი და მსახურება;
- სიყვარული როგორც თავგანწირვა;
- სიყვარული როგორც სულიერი აღმასვლისა და განღმრთობის გზა.

საკონკურსო მასალები (წარდგენის ეტაპი)

მონაწილემ ელექტრონულად უნდა წარმოადგინოს:

1. **გრაფიკული ნაწილი (PDF ფორმატში):** ესკიზური პროექტი, რომელიც მოიცავს გენგეგმას, ძირითად გეგმებს, ჭრილებს, ფასადებსა და რენდერებს.
2. **ტექსტური ნაწილი:** პროექტის კონცეფციის აღწერა (მაქს. 1 გვერდი).
3. **განაცხადი**: შევსებული სარეგისტრაციო ფორმა (დანართი 1).

საგამოფენო მოთხოვნები (შერჩეული ავტორებისთვის)

მეორე ეტაპზე გადასული პროექტების ექსპოზიცია მოხდება პლანშეტების სახით:

- **ფორმატი:** A0 (841 × 1189 მმ), ვერტიკალური განლაგება.
- **რაოდენობა**: მაქსიმუმ 2 პლანშეტი.
- **შინაარსი:** გრაფიკული მასალები (გენგეგმა, ჭრილები, ფასადები, რენდერები) და მოკლე კონცეფცია.
- **ტექნიკური მხარე:** პლანშეტები ფორმდება ორგანიზატორის მიერ მოწოდებული ერთიანი შაბლონის (Master Layout) მიხედვით. ბეჭდვას უზრუნველყოფს ორგანიზატორი.

ფიზიკური მაკეტი (სურვილისამებრ):

- მაკეტის წარდგენის შემთხვევაში, მისი პარამეტრები (ზომა, მასალა) წინასწარ უნდა შეთანხმდეს ორგანიზატორთან გამოფენამდე არანაკლებ 20 დღით ადრე.
- მაკეტი უნდა იყოს მდგრადი და ტექნიკურად გამართული საექსპოზიციოდ.

⚠️ **მნიშვნელოვანი გაფრთხილება**

- **ანონიმურობა:** საკონკურსო მასალებზე (პლანშეტებზე, PDF ფაილებსა თუ აღწერაში) აკრძალულია ავტორის ვინაობის, ლოგოს ან საკონტაქტო ინფორმაციის მითითება.
- **კონფიდენციალურობა:** ნამუშევარი არ უნდა გასაჯაროვდეს (მათ შორის სოციალურ ქსელებში) კონკურსის დასრულებამდე. წესის დარღვევა იწვევს დისკვალიფიკაციას.

7.2. ქანდაკება

მონაწილეობის უფლება: სტუდენტები და ახალგაზრდა მოქანდაკეები (40 წლამდე) – ინდივიდუალურად ან ავტორთა ჯგუფის სახით.

ზოგადი წესები:

- თითოეულ მონაწილეს/ჯგუფს შეუძლია მხოლოდ ერთი ნამუშევრის წარდგენა.
- ნამუშევარი უნდა წარმოადგენდეს საკონკურსო თემის – „საღმრთო სიყვარული – სულიერი სრულყოფა“ – ორიგინალურ ინტერპრეტაციას საქართველოს ნათლისღების 1700 წლის იუბილეს კონტექსტში.

კონცეპტუალური ხაზი: ნამუშევარში სასურველია აისახოს სიყვარულის ასპექტები:

- სიყვარული როგორც ადამიანის შინაგანი სრულყოფა;
- სიყვარული როგორც ერთსულოვნების ფორმა;
- სიყვარული როგორც მსხვერპლი და მსახურება;
- სიყვარული როგორც თავგანწირვა;
- სიყვარული როგორც სულიერი აღმასვლისა და განღმრთობის გზა.

ავტორებს შეუძლიათ გამოიყენონ სიმბოლური, ალეგორიული, ტრადიციული თუ ინოვაციური მხატვრული ფორმები.

მონუმენტური ხედვა: ნამუშევარი გააზრებული უნდა იყოს როგორც მონუმენტური ობიექტი. სასურველია ავტორმა შეარჩიოს და მიუთითოს კონკრეტული ადგილმდებარეობა.

საკონკურსო მასალები (წარდგენის ეტაპი)

1. ფიზიკური ნამუშევრის შემთხვევაში:

- ქანდაკების ესკიზის 3–5 ფოტო სხვადასხვა რაკურსით (მინ. 300 dpi);
- ნამუშევრის კონცეფციის ტექსტური აღწერა (მაქს. 1 გვერდი);
- შევსებული განაცხადის ფორმა (დანართი 1).

2. ციფრული ქანდაკების შემთხვევაში:

- 3D მოდელის ფაილი (.obj / .fbx / .stl / .glb ფორმატში);
- 2–3 მაღალი ხარისხის რენდერი (.jpeg, მინ. 300 dpi);
- ნამუშევრის ტექნიკური აღწერა (პროგრამა, მასშტაბი, ფორმა);
- ვიდეო-პრეზენტაცია (სურვილისამებრ): არაუმეტეს 30 წამისა (.mp4).

საგამოფენო მოთხოვნები (შერჩეული ნამუშევრებისთვის)

- ფიზიკური ესკიზი: მაქსიმალური ზომა – 80×80×80 სმ. მასალა – ნებისმიერი მყარი ან ნახევრადმყარი (ტექნიკურად მზად საექსპოზიციოდ).
- ციფრული ესკიზი: 3D მოდელი ან ვირტუალური ინსტალაცია.

- ვიზუალიზაცია გარემოში: წარმოდგენილ მასალებში (ფოტო/ვიდეო) მკაფიოდ უნდა ჩანდეს ნამუშევრის მონუმენტური მასშტაბი და მისი ინტეგრაცია ავტორის მიერ შერჩეულ, რეალურ გარემოში (ფოტომონტაჟის ან რენდერის სახით).

⚠️ **მნიშვნელოვანი გაფრთხილება**

- **ანონიმურობა:** საკონკურსო ნამუშევრებზე, ფოტოებსა თუ აღწერაზე არ უნდა იყოს მითითებული ავტორის სახელი, ლოგო ან ნებისმიერი საიდენტიფიკაციო ნიშანი.
- **კონფიდენციალურობა:** ნამუშევარი არ უნდა გასაჯაროვდეს (მათ შორის სოციალურ ქსელებში) კონკურსის დასრულებამდე. წესის დარღვევა იწვევს დისკვალიფიკაციას.

7.3. ფერწერა / გრაფიკა

მონაწილეობის უფლება: სტუდენტები და ახალგაზრდა მხატვრები (40 წლამდე) – ინდივიდუალურად ან შემოქმედებითი ჯგუფის სახით.

ზოგადი პირობები:

- თითოეულ მონაწილეს/ჯგუფს შეუძლია მხოლოდ ერთი ნამუშევრის წარდგენა.
- ნამუშევარი უნდა წარმოადგენდეს თემის – „საღმრთო სიყვარული - როგორც სულიერი სრულყოფა“ – მხატვრულ ინტერპრეტაციას საქართველოს ნათლისღების 1700 წლის იუბილეს კონტექსტში.

მხატვრული ენა: დასაშვებია სიმბოლური, ალეგორიული, ტრადიციული თუ თანამედროვე ციფრული ფორმების გამოყენება.

კონცეპტუალური ხაზი: ნამუშევარში სასურველია აისახოს სიყვარულის ასპექტები:

- სიყვარული როგორც ადამიანის შინაგანი სრულყოფა;
- სიყვარული როგორც ერთსულოვნების ფორმა;
- სიყვარული როგორც მსხვერპლი და მსახურება;
- სიყვარული როგორც თავგანწირვა;
- სიყვარული როგორც სულიერი აღმასვლისა და განღმრთობის გზა.

საკონკურსო მასალები (წარდგენის ეტაპი)

1.ფიზიკური ნამუშევრის შემთხვევაში:

- ნამუშევრის 1–3 მაღალი ხარისხის ფოტო (მინ. 300 dpi);
- პროექტის კონცეფციის ტექსტური აღწერა (მაქს. 1 გვერდი);

- შევსებული განაცხადის ფორმა (დანართი 1).

2. ციფრული ნამუშევრის შემთხვევაში:

- სტატიკური გამოსახულება: .jpeg ან .png (მაქს. 4K – 3840×2160);
- ვიდეო / ანიმაცია: .mp4 (არაუმეტეს 30 წამი);
- ტექნიკური ბარათი: მოკლე აღწერა და საგამოფენო მოთხოვნები (ეკრანი, პროექტორი, განათება და ა.შ.).

საგამოფენო მოთხოვნები (შერჩეული ავტორებისთვის)

- **ფიზიკური ნამუშევარი:** ტექნიკა – თავისუფალი (ფერწერა, გრაფიკა, შერეული ტექნიკა). რეკომენდებული მაქსიმალური ზომა – 150 სმ (ერთ მხარეზე). ნამუშევარი უნდა იყოს საექსპოზიციოდ მზად (ჩარჩო, პლანშეტი ან სხვა სამაგრი სისტემა).
- **ციფრული/მულტიმედიური ნამუშევარი:** ციფრული ფერწერა, ანიმაცია, .gif, ვიდეოარტი ან ინტერაქციული პროექტი. წარდგენის ფორმატი – .mp4 ან მაღალი ხარისხის სტატიკური ფაილი (4K).

⚠️ **მნიშვნელოვანი გაფრთხილება**

- **ანონიმურობა:** საკონკურსო მასალებზე (ფოტო, ფაილის სახელი, ტექსტი) აკრძალულია ავტორის ვინაობის, ლოგოს ან საავტორო მინაწერის მითითება.
- **კონფიდენციალურობა:** ნამუშევარი არ უნდა გასაჯაროვდეს (მათ შორის სოციალურ ქსელებში) კონკურსის დასრულებამდე . წესის დარღვევა იწვევს დისკვალიფიკაციას.

8. განაცხადების წარდგენა

8.1. ვადები: საკონკურსო განაცხადების მიღება იწარმოებს 2026 წლის 1 ივნისიდან 15 აგვისტოს 18:00 საათამდე. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ შემოსული მასალები არ განიხილება.

8.2 წარდგენის ფორმა: სრული საკონკურსო პაკეტი უნდა გაიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე: ghanicompetition@gmail.com. წერილის სათაურში (Subject) მიეთითება: მიმართილება (მაგ: ქანდაკება) – პროექტის სახელწოდება.

8.3. განაცხადი უნდა მოიცავდეს:

- შევსებულ განაცხადის ფორმას – დანართი 1;
- ნამუშევრის კონცეფციის აღწერას;
- ნამუშევრის ფოტოებს ან გრაფიკულ მასალას (მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად).

8.4. განაცხადები უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე.

8.5. მონაწილე პასუხისმგებელია სრულყოფილი, ტექნიკურად და შინაარსობრივად გამართული საკონკურსო მასალების წარდგენაზე.

8.6. კონკურსის მონაწილე ორგანიზატორს გარანტიას აძლევს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს. კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე (მათ შორის პრიზების გადაცემის შემდეგაც) ყალბი ინფორმაციის გამოვლენის ან სხვისი ნამუშევრის წარდგენის შემთხვევაში, ორგანიზატორს უფლება აქვს გააუქმოს მონაწილის რეგისტრაცია და უარი თქვას პრიზის გადაცემაზე.

8.7. მონაწილე რეგისტრირებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონკურსის კოორდინატორი ელექტრონული ფოსტით ოფიციალურად დაადასტურებს განაცხადის მიღებას.

9. შეფასების წესი და ჟიური

9.1. საკონკურსო ნამუშევრების შეფასებას უზრუნველყოფს დამოუკიდებელი პროფესიული ჟიური, რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს „თბილისის არქიტექტორთა და მოქანდაკეთა ასოციაცია“.

9.2. ჟიური დაკომპლექტდება ხელოვნების, არქიტექტურის, ხელოვნებათმცოდნეობისა და ჰუმანიტარული სფეროს წარმომადგენლებისგან. ჟიურის წევრთა ვინაობა კონკურსის დასრულებამდე ანონიმურია.

9.3. ჟიურის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია ჟიურის თავმჯდომარის ხმა.

9.4. ორგანიზატორი და ჟიური იტოვებენ უფლებას, კონკურსის პირობებისა და ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მოხსნან ნამუშევარი განხილვიდან.

შეფასების ეტაპები

საკონკურსო ნამუშევრების შერჩევა მიმდინარეობს ორ ეტაპად:

- I ეტაპი (შერჩევა): ჟიური დისტანციურად განიხილავს წარმოდგენილ ელექტრონულ განაცხადებს და თითოეულ მიმართულებაში შეარჩევს ფინალისტებს, რომლებიც მიიღებენ „გამოფენის მონაწილის“ სტატუსს.

- II ეტაპი (ფინალი): დასკვნითი გამოფენის ფარგლებში, ჟიური უშუალოდ გაეცნობა ექსპოზიციას და ფარული კენჭისყრით გამოავლენს გამარჯვებულებს (I, II და III ადგილი) სამივე მიმართულებით: ქანდაკება, არქიტექტურა, ფერწერა/გრაფიკა.

შეფასების კრიტერიუმები

საკონკურსო ნამუშევრები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **კონცეფციის სიღრმე** – რამდენად გააზრებულია ნამუშევრის იდეა და მისი კავშირი საკონკურსო თემასთან;
- **ინოვაციური მიდგომა** – რამდენად საინტერესო და ორიგინალურია იდეის ინტერპრეტაცია;
- **მხატვრული და სივრცითი გადაწყვეტა** – ფორმის ესთეტიკა, შემოქმედებითი ხედვა, კომპოზიცია და ვიზუალური ექსპრესია;
- **ტექნიკური შესრულება** – იდეის რეალიზაციის სიზუსტე და შესრულების ხარისხი.
- **ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების რელევანტურობა** (თუ გამოყენებულია).

10. მენტორების ჩართულობა

10.1. მენტორების ჩართულობა განხორციელდება 2026 წლის 1 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით. ეს ეტაპი წარმოადგენს კონკურსის მეორე (ფინალური) ფაზის მნიშვნელოვან ნაწილს და განკუთვნილია მხოლოდ იმ მონაწილეებისთვის, რომლებმაც წარმატებით გაიარეს პირველი ტურის შერჩევა.

10.2. მენტორები კონკურსის მონაწილეებს გაუწევენ კონსულტაციას შემდეგ საკითხებზე:

- ნამუშევრის კონცეფციის გაღრმავება;
- მხატვრული და სივრცითი გადაწყვეტის დახვეწა;
- საგამოფენო ნამუშევრის ტექნიკური შესრულების გაუმჯობესება.

11. გამოფენა

11.1. გამოფენა წარმოადგენს კონკურსის მეორე და დასკვნით ეტაპს და მიზნად ისახავს ფართო საზოგადოებისათვის კონკურსის ფარგლებში შერჩეული ნამუშევრების წარდგენას.

11.2. გამოფენაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ ჟიურის მიერ პირველ ეტაპზე შერჩეული ავტორები სამივე მიმართულებით: ქანდაკება, არქიტექტურა, ფერწერა/გრაფიკა.

11.3. გამოფენისთვის მონაწილეებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი ნამუშევრების საგამოფენო ვერსიების დროულად წარმოდგენა ორგანიზატორთან შეთანხმებული

ფორმატითა და ტექნიკური პირობებით (უნდა აკმაყოფილებდეს მე-7 მუხლით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს).

11.4. კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართება გამოფენის ფარგლებში. ცერემონიის ზუსტი თარიღი გამოცხადდება დამატებით. ორგანიზატორები მონაწილეებს ინფორმაციას მიაწვდიან ცერემონიამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

12. დაჯილდოება

12.1. გამოფენის მონაწილის პრემია: პირველი ეტაპის შედეგად შერჩეულ თითოეულ საკონკურსო პროექტს, რომელიც გამოიფინება დასკვნით ღონისძიებაზე, გადაეცემა ერთჯერადი ჰონორარი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

შენიშვნა: აღნიშნული პრემია არ გაიცემა იმ პროექტებზე, რომლებიც ჟიურის გადაწყვეტილებით დაიკავებენ საპრიზო (I, II ან III) ადგილებს და მიიღებენ შესაბამის ფულად ჯილდოს.

12.2. საპრიზო ადგილები: თითოეულ მიმართულებაში (ქანდაკება, არქიტექტურა, ფერწერა/გრაფიკა) გამოვლინდება სამი გამარჯვებული პროექტი, რომლებსაც გადაეცემათ ერთჯერადი ფულადი პრიზები:

- I ადგილი – 5 000 ლარი
- II ადგილი – 2 000 ლარი
- III ადგილი – 1 000 ლარი

12.3. პრიზები გამარჯვებულებს გადაეცემათ შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

შენიშვნა:

- პრიზის მისაღებად ავტორებთან იდება შესაბამისი ხელშეკრულება.
- ფულადი ჯილდო ფიქსირებულია ერთ პროექტზე და არ იცვლება ავტორთა რაოდენობის მიხედვით.

13. საავტორო უფლებები

13.1. კონკურსზე წარმოდგენილი ყველა ნამუშევარი რჩება მათი ავტორების საკუთრებაში.

13.2. კონკურსის მონაწილე გარანტიას იძლევა, რომ წარმოდგენილ ნამუშევარზე მას ეკუთვნის ავტორობა. ორგანიზატორს უფლება აქვს გადაამოწმოს გამარჯვებული ნამუშევრის

ავტორობა. საჭიროების შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია მიაწოდოს შესაბამისი დამადასტურებელი ინფორმაცია. მესამე პირის ავტორობაზე პრეტენზიის შემთხვევაში ნამუშევარი მოიხსნება კონკურსიდან.

13.3. ორგანიზატორს უფლება აქვს კონკურსში წარმოდგენილი ნამუშევრები გამოიყენოს კონკურსის პრომო და საინფორმაციო მიზნებისთვის, მათ შორის:

- ელექტრონულ და ბეჭდურ პუბლიკაციებში;
- სოციალური მედიის პლატფორმებზე;
- გამოფენასთან დაკავშირებულ მასალებში;
- ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე – **www.tasa.ge**

აღნიშნული გამოყენება ხორციელდება ავტორის სახელის მითითებით.

14. კონკურსის კალენდარი

- კონკურსის ოფიციალური გამოცხადება – **2026 წლის 15 აპრილი**
- წინასწარი რეგისტრაცია – **2026 წლის 15 აპრილი – 31 მაისი**
- განაცხადების მიღება – **2026 წლის 1 ივნისი – 15 აგვისტო**
- I ეტაპის შეფასება – **2026 წლის 16–31 აგვისტო**
- მენტორების კონსულტაციები – **2026 წლის 1 სექტემბერი – 10 ოქტომბერი**
- გამოფენა – **2026 წლის ოქტომბერი (თარიღი გამოცხადდება დამატებით)**

15. საკონკურსო პირობების დამტკიცება

15.1. დოკუმენტი დამტკიცებულია თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაციის გადაწყვეტილებით და ძალაში შედის **2026 წლის 15 აპრილიდან**.

- ➢ დამატებითი კითხვებისთვის დაუკავშირდით ასოციაციას

✉ ელფოსტა: ghanicompetition@gmail.com
☎ ტელეფონი: (+995) 555 44 22 01

Tbilisi Architechts and Sculptors Association

თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია